

ალფა პეტ ჯგუფი

**კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგება**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	13
5. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება	16
6. იჯარები	16
7. ძირითადი საშუალებები.....	17
8. მარაგები.....	18
9. სავაჭრო მოთხოვნები	18
10. გადახდილი ავანსები	18
11. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	19
12. მიღებული სესხები	19
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
14. საგადასახადო აქტივები, ვალდებულებები და ანარიცხები	20
15. ამონაგები.....	21
16. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	21
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
18. მიწოდების ხარჯები	21
19. ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა.....	22
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
21. პირობით ვალდებულებები.....	22
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23
23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	24

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება	31
---------------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ალფა პეტ ჯგუფის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ალფა პეტის (შემდეგში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდეგში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფს აქვს არსებითი ოპერაციები არარეზიდენტ დაკავშირებულ მხარეებთან. ჯგუფს არ მოუხდენია ამ ოპერაციების დაბეგვრის შეფასება და ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადო ანარიცხის შექმნა ან სათანადო ინფორმაციის წარდგენა ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ეს წარმოადგენს ბასს 37-დან - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ - გადახვევას, რომელიც მოითხოვს ანარიცხის შექმნას ყველა პოტენციური ვალდებულებისთვის, როდესაც მოსალოდნელია, რომ მის დასაფარად საჭირო იქნება ჯგუფის ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა. ჩვენ ვერ შევძელით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ გადახვევის ეფექტის დადგენა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 21-ე შენიშვნაზე, სადაც აღწერილია, რომ ჯგუფი ვერ აკმაყოფილებს სასესხო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ზოგიერთ ვალდებულებას. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში, მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან

აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვვრცობთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი

განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ

- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრელობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

23 აგვისტო, 2021

განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ

- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრელობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

23 აგვისტო, 2021

ალფა პეტ ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
აქტივის გამოყენების უფლება	6	2,256,317	2,516,903
ძირითადი საშუალებები	7	15,572,554	8,106,414
არამატერიალური აქტივები		224	8,052
		17,829,095	10,631,369
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	8	5,412,776	3,095,540
სავაჭრო მოთხოვნები	9	8,574,514	9,475,274
გადახდილი ავანსები	10	365,967	1,006,567
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	436,057	539,546
		14,789,314	14,116,927
სულ აქტივები		32,618,409	24,748,296
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		660,000	660,000
გაუნაწილებელი მოგება		3,086,714	6,743,706
		3,746,714	7,403,706
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	6	1,066,692	1,609,203
სახელმწიფო გრანტი	12	1,532,484	791,864
მიღებული სესხები	12	7,037,523	1,994,233
		9,636,699	4,395,300
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	6	366,705	133,202
მიღებული სესხები	12	10,258,855	8,419,192
სახელმწიფო გრანტი	12	63,144	42,092
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	4,310,327	4,139,362
გადასახდელი დივიდენდები		3,821,762	-
საგადასახადო ვალდებულებები	14	270,969	72,208
საგადასახადო ანარიცხი	14	143,234	143,234
		19,234,996	12,949,290
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		32,618,409	24,748,296

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 23 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მამუკა ჩალაძე

ფინანსური დირექტორი

ნანა ავალიანი

10-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ალფა პეტ გზუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
აქტივის გამოყენების უფლება	6	2,256,317	2,516,903
ძირითადი საშუალებები	7	15,572,554	8,106,414
არამატერიალური აქტივები		224	8,052
		<u>17,829,095</u>	<u>10,631,369</u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	8	5,412,776	3,095,540
სავაჭრო მოთხოვნები	9	8,574,514	9,475,274
გადახდილი ავანსები	10	365,967	1,006,567
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	436,057	539,546
		<u>14,789,314</u>	<u>14,116,927</u>
სულ აქტივები		<u>32,618,409</u>	<u>24,748,296</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		660,000	660,000
გაუნაწილებელი მოგება		3,086,714	6,743,706
		<u>3,746,714</u>	<u>7,403,706</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	6	1,066,692	1,609,203
სახელმწიფო გრანტი	12	1,532,484	791,864
მიღებული სესხები	12	7,037,523	1,994,233
		<u>9,636,699</u>	<u>4,395,300</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	6	366,705	133,202
მიღებული სესხები	12	10,258,855	8,419,192
სახელმწიფო გრანტი	12	63,144	42,092
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	4,310,327	4,139,362
გადასახდელი დივიდენდები		3,821,762	-
საგადასახადო ვალდებულებები	14	270,969	72,208
საგადასახადო ანარიცხი	14	143,234	143,234
		<u>19,234,996</u>	<u>12,949,290</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>32,618,409</u>	<u>24,748,296</u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 23 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მამუკა ჩალაძე

ფინანსური დირექტორი

ნანა ავალიანი

ალფა პეტ ჯგუფი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	15	35,256,392	38,081,218
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(25,101,894)	(28,005,686)
საერთო მოგება		10,154,498	10,075,532
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(2,639,179)	(2,378,958)
მიწოდების ხარჯები	18	(915,336)	(954,662)
		7,937	(207,973)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	9	(102,707)	(231,032)
სხვა შემოსავალი		207,542	154,355
საოპერაციო მოგება		6,712,755	6,457,262
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	19	(2,126,083)	(953,054)
საპროცენტო ხარჯი	12	(1,057,229)	(876,919)
მოგება დაბეგრამდე		3,529,443	4,627,289
მოგების გადასახადის ხარჯი		(744,576)	(131,428)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,784,867	4,495,861

10-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ალფა პეტ ჯგუფი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2018	660,000	2,285,084	2,945,084
მფლობელებზე განაწილებული			
დივიდენდები	-	(37,238)	(37,238)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,495,860	4,495,860
31 დეკემბერი 2019	660,000	6,743,706	7,403,706
მფლობელებზე განაწილებული			
დივიდენდები	-	(6,441,859)	(6,441,859)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,784,867	2,784,867
31 დეკემბერი 2020	660,000	3,086,714	3,746,714

10-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ალფა პეტ ჯგუფი

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		3,529,443	4,627,289
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,039,617	711,034
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია		182,364	179,833
საექვო ვალების რეზერვის ხარჯი	9	102,707	231,032
ძირითადი საშუალების ჩამოწერა		6,718	-
მარაგების გაუფასურების ხარჯი		78,227	188,985
საპროცენტო ხარჯი	12	1,057,229	876,919
(მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		(7,937)	207,973
საკურსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა ზარალი		2,126,083	953,054
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		8,114,451	7,976,119
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე			
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
მარაგების შემცირება / (ზრდა)		(2,395,463)	98,662
საეჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		1,328,437	(4,408,243)
გადახდილი ავანსების (ზრდა)/შემცირება		640,600	(681,921)
საეჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(773,458)	(169,420)
საგადასახადო ვალდებულებების შემცირება		(182,825)	(244,253)
ფულადი ნაკადების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე და დაბეგვრამდე		6,731,742	2,570,944
გადახდილი პროცენტები	12	(1,317,062)	(777,781)
გადახდილი მოგების გადასახადი		(447,236)	(131,428)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		4,967,444	1,661,735
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(5,235,760)	(2,657,083)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		78,226	3,956
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(7,369)
აქტივის გამოყენების უფლების ზრდა		78,221	-
მიღებული სახელმწიფო გრანტი		310,881	137,702
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(4,768,432)	(2,522,794)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხების დაფარვა	12	(42,391,927)	(33,256,361)
მიღებული სესხების ზრდა	12	45,031,641	35,145,615
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(261,788)	(278,189)
გადახდილი დივიდენდი		(2,535,854)	(744,756)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(157,928)	866,309
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა		41,084	5,250
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	539,546	585,405
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე		(144,573)	(51,109)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	436,057	539,546

10-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება აღფა პეტი (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2007 წლის 27 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს პლასტიკური ბოთლების ნახევარფაბრიკატების - პეტ პრეფორმების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფელი მისაქციელი. კომპანიის დირექტორია მამუკა ჩალაძე.

კომპანიის წილის მფლობელები არიან:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება ჰიტექს პლასტიკ	40%	48%
სამველ თუმანიანი, AM0209292, AP0556110 /სომხეთი/	30%	0%
ლევონ მელიქსეტიანი, AK0424017; BA1000639 /სომხეთი/	30%	0%
შპს GEAR HOLDING LIMITED, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო	0%	52%
	100%	100%

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შპს აღფა პეტი პლიუსს, რომელიც 2019 წლის დეკემბერში დააფუძნა ახალი საწარმოო ხაზის გახსნის, კერძოდ პლასტმასის კონტეინერებისა და სპეციფიური თავსახურების წარმოების მიზნით.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ჯგუფი იყენებს ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის. ეს სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია ყველა იმ სტანდარტთან, რომელიც ძალაშია კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი პერიოდებისთვის.

ჯგუფი არ იყენებს სხვადასხვა ვერსიას იმ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით, რომელიც წინა თარიღებისათვის იყო ძალაში და რომელთა დაკავშირებითაც შესული ცვლილებების სავალდებულო გამოყენება ძალაში შევიდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პერიოდში. ჯგუფი არ იყენებს ახალ ფასს-ებს, რომელთა გამოყენება სავალდებულო არ არის, თუ სტანდარტით დაშვებულია მისი ვადამდელი დანერგვა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას.

საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მომზადების საფუძველის მიზანშეწონილობის დადგენისას, ჯგუფის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა COVID-19 პანდემიის გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის საქმიანობაზე მომავალში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ COVID-19-ის აფეთქება პანდემიად გამოაცხადა 2020 წლის მარტში. პანდემიასთან გამკლავებაში მთავრობების მოქმედება და რეაგირება გავლენას ახდენს საზოგადოების, ზოგადად ეკონომიკის და შესაბამისად, ბიზნესის საქმიანობაზე. პანდემიას განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის პანდემიას

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის ოპერაციებზე, ფულადი სახსრების მოძრაობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. კომპანია რჩება მომგებიანი საანგარიშო წლისთვის. მას ასევე აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია შენიშვნა 23-ში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ჯგუფის 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7) და
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ჯგუფმა გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ჯგუფს უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის პირველ იანვრამდე.

ამჟამად, ჯგუფი აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

სხვა

ჯგუფს არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზნევასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიის ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქცეობა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, ჯგუფი აჯგუფებს ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განისაზღვრება ჯგუფის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

განმავლობაში. ჯგუფმა გამოიყენა გამონაკლისი ფას 9 ის 85.5.50 და 85.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ ჯგუფის მომხმარებელზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი
 - სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები, რომლებსაც იყენებს ჯგუფი და საიდანაც წარმოიქმნება ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- სავაჭრო მოთხოვნები
- ფული და ფულის ეკვივალენტები
- მიღებული სესხები
- საიჯარო ვალდებულებები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყველა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია ამორტიზებადი ღირებულებით.

ფული და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. მიღებული სესხები შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მე-3 დონით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობა ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს ჯგუფის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. დამატებითი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება მომხმარებლისათვის ჯგუფის სტანდარტული

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება.

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით. მოთხოვნები, რომლებიც ვადაგადაცილებული ან გაუფასურებულია, განმარტებულია მე-9 შენიშვნაში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანა ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია ლარში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვლადობის გამო. ჯგუფის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	დრამი	გირვანქა სტერლინგი	31.12.2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,546,803	2,027,703	8	-	-	8,574,514
ფული და ფულის ეკვივალენტები	313,125	329	120,377	2,181	45	436,057
	6,859,928	2,028,032	120,385	2,181	45	9,010,571
ფინანსური ვალდებულებები						
მიღებული სესხები	4,256,179	9,519,811	3,520,388	-	-	17,296,378
საიჯარო ვალდებულება	1,433,397	-	-	-	-	1,433,397
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	95,428	4,178,551	36,348	-	-	4,310,327
	5,785,004	13,698,362	3,556,736	-	-	23,040,102
ღია სავალუტო პოზიცია	1,074,924	(11,670,330)	(3,436,351)	2,181	45	

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	დრამი	31.12.2019
სავაჭრო მოთხოვნები	8,959,884	67,665	447,725	-	9,475,274
ფული და ფულის ეკვივალენტები	530,457	3,085	819	5,185	539,546
	9,490,341	70,750	448,544	5,185	10,014,820
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	2,086,265	8,327,160	-	-	10,413,425
საიჯარო ვალდებულება	1,742,405	-	-	-	1,742,405
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	210,859	3,924,173	4,330	-	4,139,362
	4,039,529	12,251,333	4,330	-	16,295,192
ღია სავალუტო პოზიცია	5,450,812	(12,180,583)	444,214	5,185	

ალფა პეტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას.

	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი მოგება/(ზარალი)	(2,334,066)	2,334,066	(2,436,117)	2,436,117
ევროს ეფექტი მოგება/(ზარალი)	(687,270)	687,270	88,843	(88,843)

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდობის რისკის მართვისთვის ჯგუფი ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. ცხრილი მომზადებულია ჯგუფის ხელმძღვანელობის შიდა ინფორმაციის საფუძველზე:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდურობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,574,514	-	-	8,574,514
ფული ბანკში	422,679	-	-	422,679
	8,997,193	-	-	8,997,193
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	10,258,855	6,443,101	594,422	17,296,378
საიჯარო ვალდებულება	366,705	1,066,692	-	1,433,397
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,310,327	-	-	4,310,327
	14,935,887	7,509,793	594,422	23,040,102

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდურობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	9,475,274	-	-	9,475,274
ფული ბანკში	532,670	-	-	532,670
	10,007,944	-	-	10,007,944
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	8,419,190	1,562,248	431,987	10,413,425
საიჯარო ვალდებულება	133,202	1,609,203	-	1,742,405
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,139,362	-	-	4,139,362
	12,691,754	3,171,451	431,987	16,295,192

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისთვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

5. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება

ჯგუფის ხელმძღვანელობამ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში გაასწორა წინა პერიოდის შეცდომა. ხელმძღვანელობის მოსაზრებით ახალი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას. კონკრეტულად, ჯგუფმა 2019 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოკლევადიანი სახელმწიფო გრანტის არეში წარდგენილი გრძელვადიანი ნაწილი გამოყო და წარადგინა როგორც გრძელვადიანი სახელმწიფო გრანტი. შესაბამისად, შეცვალა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.

ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარდგენილი მონაცემის ცვლილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	თანხა ცვლილებამდე	რეკლასიფიკაცია	თანხა ცვლილების შემდეგ
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სახელმწიფო გრანტი	-	791,864	791,864
მიმდინარე ვალდებულებები			
სახელმწიფო გრანტი	833,956	(791,864)	42,092

6. იჯარები

ჯგუფმა 2019 წლის იანვარში მანქანა დანადგარის, კერძოდ HUSKY 4 ის შეძენა განახორციელა ფინანსური ლიზინგის საშუალებით შპს საქართველოს სალიზინგო კომპანიისგან. ასევე ჯგუფი 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა სს თიბისი ლიზინგისგან ფინანსური იჯარით შეძენილ ავტომობილს. შპს საქართველოს სალიზინგო კომპანიის იჯარა განსაზღვრულია ლარში, ხოლო სს თიბისი ლიზინგის იჯარა განსაზღვრულია აშშ დოლარში. ორივე იჯარა არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	მანქანა-დანადგარები	ავტომობილები და მტვირთველები	სულ
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	98,768	98,768
შემოსვლა	2,597,968	-	2,597,968
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	(168,453)	(11,380)	(179,833)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,429,515	87,388	2,516,903
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,429,515	87,388	2,516,903
გასვლა	-	(78,222)	(78,222)
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	(173,198)	(9,166)	(182,364)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,256,317	-	2,256,317

საიჯარო ვალდებულება შეიძლება წარდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	მანქანა-დანადგარები	ავტომობილები და მტვირთველები	სულ
1 იანვარი 2020	1,718,217	24,188	1,742,405
შემოსვლა	-	-	-
საპროცენტო ხარჯი	282,870	972	283,842
ძირის დაფარვა	(235,890)	(25,898)	(261,788)
პროცენტის გადახდა	(155,171)	(972)	(156,143)
აწარმოე საქართველოს ფარგლებში მისაღები დაფინანსება	(176,629)	-	(176,629)
საკურსო სხვაობის ეფექტი	-	1,710	1,710
31 დეკემბერი 2020	1,433,397	-	1,433,397

ალფა პეტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

6.იჯარები (გაგრძელება)

	მანქანა- დანადგარები	ავტომობილები და მტვირთველები	სულ
1 იანვარი 2019	-	57,875	57,875
შემოსვლა	2,794,129	-	2,794,129
საპროცენტო ხარჯი	322,450	4,028	326,478
ძირის დაფარვა	(247,474)	(30,715)	(278,189)
ძირის დაფარვა - არაფულადი	(613,120)		(613,120)
პროცენტის გადახდა	(81,352)	(4,028)	(85,380)
პროცენტის დაფარვა - არაფულადი	(241,098)		(241,098)
აწარმოე საქართველოს ფარგლებში მისაღები დაფინანსება	(215,318)		(215,318)
საკურსო სხვაობის ეფექტი	-	(2,972)	(2,972)
31 დეკემბერი 2019	1,718,217	24,188	1,742,405

7. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	ავტომობილები და მტვირთველები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2018	159,748	50,847	7,586,621	452,094	1,200,706	374,895	9,824,911
შემოსვლა	-	2,867,456	875,477	116,225	1,502,748	172,750	5,534,656
საპროცენტო ხარჯის დაკაპიტალიზირება	-	-	-	-	164,214	-	164,214
გასვლის რეკლასი ფასს 16-ის მიხედვით	-	-	-	(113,796)	-	-	(113,796)
გასვლა	-	-	(361,671)	(24,883)	(2,867,668)	(51,757)	(3,305,979)
31 დეკემბერი 2019	159,748	2,918,303	8,100,427	429,640	-	495,888	12,104,006
შემოსვლა	-	-	8,112,728	45,555	319,724	68,381	8,546,388
საპროცენტო ხარჯის დაკაპიტალიზირება	-	-	4,761	-	-	-	4,761
გასვლა	-	-	(78,915)	(14,000)	-	(20,790)	(113,705)
31 დეკემბერი 2020	159,748	2,918,303	16,139,001	461,195	319,724	543,479	20,541,450
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2018	-	(50,847)	(2,971,829)	(102,461)	-	(318,429)	(3,443,566)
ცვეთა	-	(35,518)	(603,754)	(39,071)	-	(32,691)	(711,034)
გასვლის რეკლასი ფასს 16-ის მიხედვით	-	-	-	15,028	-	-	15,028
გასვლა	-	-	94,515	13,804	-	33,661	141,980
31 დეკემბერი 2019	-	(86,365)	(3,481,068)	(112,700)	-	(317,459)	(3,997,592)
ცვეთა	-	(95,582)	(841,300)	(53,295)	-	(41,613)	(1,031,790)
გასვლა	-	-	25,882	16,467	-	18,137	60,486
31 დეკემბერი 2020	-	(181,947)	(4,296,486)	(149,528)	-	(340,935)	(4,968,896)
ნეტო საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2019	159,748	2,831,938	4,619,359	316,940	-	178,429	8,106,414
31 დეკემბერი 2020	159,748	2,736,356	11,842,515	311,667	319,724	202,544	15,572,554

ჯგუფის მიწა და მანქანა-დანადგარები ჩადებულია მიღებული სესხების უზრუნველყოფაში 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სრულად გაცვეთილი აქტივები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრებოდა შესაბამისად, 309,830 და 250,944 ლარით.

ალფა პეტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

8. მარაგები

	31.12.2020	31.12.2019
ნედლეული	1,885,656	840,396
მზა პროდუქცია	1,703,319	1,243,212
საქონელი გზაში	1,377,530	764,452
საექსპლუატაციო მარაგი	347,875	195,749
სხვა	98,396	51,731
	5,412,776	3,095,540

43,917 და 9,344 ლარის წარმოებული მზა პროდუქცია წარმოდგენილია გაყიდვის დანახარჯით შემცირებული რეალური ღირებულებით შესაბამისად 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

9. სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური აქტივები გარდა ფულის და ფულის ეკვივალენტებისა		
კლასიფიცირებული ამორტიზირებული ღირებულებით		
სავაჭრო მოთხოვნები	8,988,257	9,786,310
საექვო ვალების რეზერვი	(413,743)	(311,036)
	8,574,514	9,475,274

მიღებული სესხები უზრუნველყოფილია სავაჭრო მოთხოვნებით. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მსგავსი სავაჭრო მოთხოვნები შეადგენს 5,396,229 და 5,764,306 ლარს, შესაბამისად.

ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

საექვო ვალების რეზერვის რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვარი	311,036	80,004
რეზერვის ზრდა	269,446	262,518
გამოუყენებელი რეზერვის ამორტიზაცია	(166,739)	(31,486)
გაუფასურების ხარჯი წლის განმავლობაში	102,707	231,032
31 დეკემბერი	413,743	311,036

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების რეზერვი მოთხოვნებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე	31 დან 90 დღემდე	91 დან 180 დღემდე	181 დან 360 დღემდე	361 დღეზე მეტი	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	1.15%	3.45%	11.50%	57.50%	100.00%	
31 დეკემბერი 2020						
მთლიანი საბალანსო ღირებულება	3,720,379	3,426,493	1,795,074	-	46,311	8,988,257
გაუფასურების რეზერვი	42,784	118,214	206,434	-	46,311	413,743
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	1.00%	3.00%	10.00%	50.00%	100.00%	
31 დეკემბერი 2019						
მთლიანი საბალანსო ღირებულება	6,198,030	2,483,481	980,866	94,936	28,997	9,786,310
გაუფასურების რეზერვი	61,980	74,504	98,087	47,468	28,997	311,036

10. გადახდილი ავანსები

	31.12.2020	31.12.2019
ავანსი გადახდილი:		
მომწოდებლებისთვის	277,135	966,301
იჯარისთვის	39,760	-
მომსახურე ფიზიკური პირებისთვის	29,562	-
სხვა	19,510	40,266
	365,967	1,006,567

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019
ფული სალაროში	13,378	6,876
ფული ბანკში	422,679	532,670
	436,057	539,546

ფულის და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

12. მიღებული სესხები

	დაფარვის ვადა	ვალუტა	31.12.2020	31.12.2019
გრძელვადიანი				
მიღებული სესხი				
რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი				
სს საქართველოს ბანკი	6/20/2025	ლარი	1,329,257	1,618,417
სს საქართველოს ბანკი	12/25/2026	ლარი	1,743,277	375,816
სს საქართველოს ბანკი	11/15/2023	ლარი	33,588	-
სს საქართველოს ბანკი	9/8/2023	ლარი	217,522	-
არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი	3/18/2025	ევრო	3,713,879	-
			7,037,523	1,994,233
მოკლევადიანი				
მიღებული სესხი:				
სს საქართველოს ბანკი	6/20/2025	ლარი	282,891	91,322
სს საქართველოს ბანკი	12/25/2026	ლარი	271,005	710
სს საქართველოს ბანკი	11/15/2023	ლარი	15,189	-
სს საქართველოს ბანკი	9/8/2023	ლარი	137,444	-
სს საქართველოს ბანკი	12/25/2026	ლარი	32,515	-
ოვერდრაფტი:				
არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი		აშშ დოლარი	5,064,968	3,775,901
რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი:				
სს საქართველოს ბანკი	12/1/2021	აშშ დოლარი	2,582,299	1,777,974
სს თიბისი ბანკი	09/27/2021	აშშ დოლარი	1,872,544	2,773,285
			10,258,855	8,419,192

მიღებული სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთები მერყეობს 6-13%-მდე.

ჯგუფმა 2019 წლის დეკემბერში სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში საქართველოს ბანკისგან მიიღო სესხი. მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში სესხი განკუთვნილია ჯგუფის შვილობილი კომპანიის მიერ ახალი საწარმოო ზაზის გახსნისთვის საჭირო დანადგარის შესაძენად. ჯგუფს სესხები მიღებული აქვს წლიური 12%-ანი განაკვეთით, ხოლო ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ უზრუნველყოფს კრედიტზე დარიცხული არაუმეტეს 24 თვის საპროცენტო განაკვეთის ყოველთვიურ თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 10%-ის ოდენობით.

2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფმა აწარმოეს ლიმიტის ფარგლებში მიიღო დამატებითი დაფინანსება. 2020 წლის სექტემბერში და ნოემბერში სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში ჯგუფმა საქართველოს ბანკისგან მიიღო ორი ახალი სესხი. მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში სესხი განკუთვნილია წარმოებისთვის საჭირო ყალიბების და ოფისის მშენებლობისთვის. ჯგუფს სესხები მიღებული აქვს წლიური 13%-ანი განაკვეთით, ხოლო ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ უზრუნველყოფს კრედიტზე დარიცხული არაუმეტეს 24 თვის საპროცენტო განაკვეთის ყოველთვიურ თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 11%-ის ოდენობით.

ჯგუფმა სახელმწიფოსგან გაწეული დახმარება აღიარა როგორც აქტივთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტი. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ მიღებული სახელმწიფო გრანტი შესაბამისად შეადგენს 1,595,628 და 833,956 ლარს.

ძირითადი საშუალებების მშენებლობისთვის განკუთვნილი გრანტი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, ისევე როგორც ძირითადი საშუალების

12. მიღებული სესხები (გაგრძელება)

შესაძენად განკუთვნილი გრანტი.

მიღებული სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის უძრავ-მოძრავი ქონებითა და მოთხოვნებით. ასევე, მშობელი კომპანიის აქტივებით და დამფუძნებელთა მშობელ კომპანიაში არსებული წილებით.

მიღებული სესხების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვარი	10,413,425	8,047,666
ფულადი		
სესხის აღება	45,031,641	35,145,615
სესხის დაფარვა	(42,391,927)	(33,256,361)
პროცენტის დაფარვა	(1,160,919)	(692,401)
არაფულადი		
სესხის აღება	2,972,725	-
საპროცენტო ხარჯი აღიარებული მოგება ან ზარალში	807,312	550,441
საპროცენტო ხარჯი წარდგენილი ძირითად საშუალებებში, როგორც სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	357,247	145,917
აწარმოეს ფარგლებში მისაღები დაფინანსება	(293,372)	(31,386)
რეკლასიფიკაცია ფასს 16-ის მიზნებისთვის	-	(57,875)
გადაფასება	1,560,246	561,809
31 დეკემბერი	17,296,378	10,413,425

საპროცენტო ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
მიღებული სესხი:		
რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი	(387,629)	(85,241)
არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტი	(171,269)	-
საპროცენტო შემოსავალი	34,124	-
ფინანსური იჯარა	(284,041)	(326,479)
ოვერდრაფტი	(248,414)	(465,199)
	(1,057,229)	(876,919)

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარესთან	3,365,087	3,587,480
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	823,662	353,870
სახელფასო ვალდებულება	3,698	118,076
სხვა ვალდებულებები	117,880	79,935
	4,310,327	4,139,361

ფინანსური ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

14. საგადასახადო ვალდებულებები და ანარიცხები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, ჯგუფმა გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად ჯგუფმა წარადგინა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო საგადასახადო ვალდებულება 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად 270,969 და 72,208 ლარის.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა საგადასახადო რისკები და აღიარა 143,234 ლარის ანარიცხი.

ალფა პეტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

15. ამონაგები

ჯგუფის ამონაგები სრულად აღიარებულია დროის გარკვეულ მომენტში. ამონაგები კატეგორიების და გეოგრაფიული რეგიონის მიხედვით წარდგენილია შემდეგნაირად:

2020 წელი	მზა პროდუქცია (წარმოებული)	მზა პროდუქცია (იმპორტული)	ნედლეული	სხვა	სულ
საქართველო	23,177,455	7,851,966	18,644	10,457	31,058,522
სომხეთი	2,981,692	361,350	662,068	192,760	4,197,870
	26,159,147	8,213,316	680,712	203,217	35,256,392
2019 წელი	მზა პროდუქცია (წარმოებული)	მზა პროდუქცია (იმპორტული)	ნედლეული	სხვა	სულ
საქართველო	24,075,999	7,619,375	419,313	2,731	32,117,418
სომხეთი	2,376,472	258,227	3,193,714	135,387	5,963,800
	26,452,471	7,877,602	3,613,027	138,118	38,081,218

16. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
მზა პროდუქცია (წარმოებული)	(17,070,708)	(17,103,217)
მზა პროდუქცია (იმპორტული)	(7,299,634)	(7,405,893)
ნედლეული	(521,180)	(3,362,499)
სხვა	(210,372)	(134,077)
	(25,101,894)	(28,005,686)

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
თანამშრომელთა სარგებელი	(1,615,179)	(1,365,617)
პროფესიონალური სერვისები	(307,889)	(273,424)
ცვეთა	(179,318)	(52,746)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(176,883)	(78,003)
მარაგების ჩამოფასება	(78,227)	(188,985)
ბანკის საკომისიო	(21,673)	(18,687)
საწვავი	(19,983)	(30,519)
იჯარა	(12,605)	(14,285)
რემონტი	(1,703)	(53,833)
დემონტაჟის ხარჯი	-	(120,607)
სხვა	(225,719)	(182,252)
	(2,639,179)	(2,378,958)

უმაღლესი მმართველი პირების ანაზღაურება განმარტებულია მე-20 შენიშვნაში.

18. მიწოდების ხარჯები

	2020	2019
შესაფუთი მასალები	(430,231)	(402,108)
ტრანსპორტირება	(146,732)	(180,468)
საწვავი	(99,733)	(83,820)
თანამშრომელთა სარგებელი	(96,719)	(86,125)
ავტომტვირთავებისა და სატვირთოების რემონტის ხარჯები	(47,047)	(76,280)
ცვეთა	(23,805)	(36,629)
მივლინება	(17,288)	(24,284)
სხვა	(53,781)	(64,948)
	(915,336)	(954,662)

19. ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა

	2020	2019
რეალიზებული საკურსო სხვაობა	(144,573)	(51,108)
არარეალიზებული საკურსო სხვაობა	(1,981,510)	(901,946)
	(2,126,083)	(953,054)

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	
	დამფუძნებელი	უმაღლესი მმართველი პირები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
გაცემული ავანსები	-	16,643
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,365,087	-
გადასახდელი დივიდენდები	3,821,762	-
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
შემოსავალი	4,197,870	-
სხვა შემოსავალი	9,346	-

	31 დეკემბერი 2019	
	დამფუძნებელი	უმაღლესი მმართველი პირები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო მოთხოვნები	-	36,643
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,587,480	113,739
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
შემოსავალი	5,963,800	31,054

უმაღლესი მმართველი პირების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	1,168,893	1,000,741

21. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

21. პირობით ვალდებულებები (გაგრძელება)

კოვენანტები - ჯგუფის სასესხო ხელშეკრულებები ითვალისწინებენ შემდეგ კოვენანტებს:

სს საქართველოს ბანკის სასესხო ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ ფინანსურ კოეფიციენტს:

- ჯგუფის მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის სხვაობა უნდა იყოს არანაკლებ ნულისა
- იმ შემთხვევაში თუ ბანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR) 1.2-ზე ნაკლებია, ჯგუფმა არ უნდა გასცეს დივიდენდი.

ჯგუფი ფინანსური კოეფიციენტებს ითვლის შემდეგნაირად:

მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის სხვაობა - მიმდინარე აქტივებს გამოკლებული მიმდინარე ვალდებულებები

ბანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR) - გადასახადების და საპროცენტო სარგებლის გადახდამდე, ასევე აქტივებზე ამორტიზაციის და ცვეთის დარიცხვამდე არსებული მოგება (დაკორექტირებული კომპანიის საკუთარი სახსრებით დაფინანსებული კაპიტალური დანახარჯებით, დივიდენდებით, მოგების გადასახადით და ცვლილებით საბრუნავ კაპიტალში) გაყოფილი ბანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების მიმდინარე ნაწილის მომსახურებისთვის საჭირო ძირითადი თანხის და საპროცენტო სარგებლის ჯამზე.

სს HSBC-ის სასესხო ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ ფინანსურ კოეფიციენტს:

- კომპანია ალფა პეტის საკუთარი კაპიტალის და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების განსხვავება ნებისმიერ დროს არ უნდა იყოს 2,000,000 აშშ დოლარზე ნაკლები
- გადასახადის და პროცენტის გადახდამდე კომპანია ალფა პეტის წმინდა მოგების შეფარდება საბანკო საკრედიტო ხაზით საპროცენტო ხარჯებთან არ უნდა იყოს 3.0 შეფარდებაზე ნაკლები
- შპს ალფა პეტმა არ უნდა გაყიდოს 270,000 ლარზე მეტი ღირებულების ძირითადი საშუალებები
- ბანკის თანხობის გარეშე კომპანია ალფა პეტმა არ უნდა გაანაწილოს წმინდა მოგების 80% ზე მეტი დივიდენდი.

	2020	2019
მიმდინარე აქტივებს გამოკლებული მიმდინარე ვალდებულებები*	(4,445,682)	1,167,637
ბანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR)	1.74	3.37
საკუთარი კაპიტალის და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების განსხვავება*	(2,744,520)	(621,701)
გადასახადის და პროცენტის გადახდამდე წმინდა მოგების შეფარდება საბანკო საკრედიტო ხაზით საპროცენტო ხარჯებთან	11.04	11.83
გაყიდული ძირითადი საშუალებების ღირებულება	61,082	268,125
გადახდილი დივიდენდი < წმინდა მოგების 80%-ზე	72%	16%

*ჯგუფის სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული კოვენანტებიდან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაირღვა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის სხვაობის და საკუთარი კაპიტალის და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების სხვაობის შეზღუდვა. თუმცა აღნიშნულის გამო ბანკებმა არ ამოქმედეს სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

დივიდენდები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, 2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა დამფუძნებლებზე გასცა 1,600,680 ლარის ოდენობის დივიდენდი.

სესხები

2021 წლის მარტში ჯგუფმა სს საქართველოს ბანკისგან აიღო 787,000 ლარის სესხი 5 წლის ვადით. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 4.5% დამატებული რეფინანსირების განაკვეთი. სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ უზრუნველყოფს კრედიტზე დარიცხული არაუმეტეს 36 თვის საპროცენტო განაკვეთის ყოველთვიურ თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 11.5%-ის ოდენობით.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

ჯგუფი ძირითად შემოსავლებს იღებს წარმოებული და იმპორტირებული პრეფორმების რეალიზაციიდან. იგი ყიდის თავის პროდუქტს როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე ექსპორტით. ორივე შემთხვევაში დროის ის მომენტი როდესაც მომხმარებელი მიიღებს პროდუქტს, ჯგუფისთვის წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ კონტროლის გადაცემის ყველა კრიტერიუმი კმაყოფილდება და შესაბამისად, დროის გარკვეულ მომენტში აღიარებს შემოსავალს.

ჯგუფი ზოგადად წარმოადგენს მარწმუნებელს მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, გარდა დედა კომპანიისთვის გადაყიდული რეექსპორტირებული აქტივებისთვის, რომელთა შედეგი ფინანსურ ანგარიშგებებში ნეტ საფუძველზეა წარდგენილი.

გარიგების ფასის განსაზღვრა

ჯგუფი შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული სიტყვიერი/დოკუმენტური შეთანხმებებიდან, რომელიც წლის განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს მოლაპარაკებების საფუძველზე. აქედან გამომდინარე შემოსავალი მიღებული თითოეული გაყიდვიდან განისაზღვრება ფიქსირებული ფასებით. ხელშეკრულებების მიხედვით მომხმარებლები შეძენილი პროდუქტის საზღაურს იხდიან პროდუქტზე კონტროლის მოპოვებიდან 30-60 დღის შუალედში. ჯგუფს არ აქვს კონტრაქტები, რომელთა მიხედვით ანაზღაურების მოცულობა იქნება ცვალებადი.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

ყველა შეთანხმება არის ფიქსირებული ფასებით, თითოეული პროდუქტის გაყიდვის დროს. აქედან გამომდინარე ასეთი შეთანხმებებისას ჯგუფი არ იყენებს მსჯელობას გაანაწილოს გარიგების ფასი თითოეული შეკვეთისთვის. როდესაც მომხმარებელი უკვეთავს ერთზე მეტ პროდუქტს, ჯგუფს შეუძლია შეთანხმების მთლიანი ღირებულება გაყოს თითოეული პროდუქტის გასაყიდი ფასების მიხედვით (ყველა პროდუქტი შესაძლებელია წარმოადგენდეს ინდივიდუალურ პროდუქტს და გაიყიდოს ცალკე).

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, დამოკიდებული აქტივის ფლობის მიზანზე. ჯგუფი არცერთ ფინანსურ აქტივს არ აკლასიფიცირებს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალის ასახვით ან რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ასახვით.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობს მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია ჯგუფის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. ჯგუფმა გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის 85.50 და 85.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით,

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ აქტივებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით. წინა პერიოდში ჩამოწერის აღდგენა აღიარდება მოგებასა და ზარალში. ჯგუფმა არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე ჯგუფი არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას ფასს 9-ის შესაბამისად.

ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს ჯგუფი ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. ჯგუფი არ ახდენს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები, საიჯარო ვალდებულებები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

	აშშ დოლარი	ევრო	სომხ. დრამი
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233	0.0063
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095	0.0060

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

ჯგუფი ფასს 16-ს იყენებს 2019 წლის 1 იანვრის თარიღიდან. ჯგუფმა არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის დროს. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარებ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით.

აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განიხილება, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც ჯგუფი ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, ჯგუფმა ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის

დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო

მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

	სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)
მიწა	ცვთა არ ერიცხება
ნაგებობა	7-30
მანქანა-დანადგარები	5-15
ავტომობილები და მტვრითველები	5-10
სხვა	3-10

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

აქტივთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, რეალური ღირებულებით არ აღიარდება მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა, რომ:

ა) საწარმო შესაძლებლად მასთან დაკავშირებულ პირობებს; და

ბ) გრანტი იქნება მიღებული.

აქტივთან დაკავშირებული გრანტები ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გრანტის გადავადებული შემოსავლის სახით.

სახელმწიფო გრანტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, სისტემატურ საფუძველზე, იმ პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც გრანტით ხდება.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები ჩაირთვება განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულებაში. განსაკუთრებული აქტივი არის ისეთი აქტივი, რომლის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მომზადებისთვის საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იქნა გაწეული. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს პროცენტს და საკურსო სხვაობის ზარალს, იმ მოცულობით რომლითაც იგი აკორექტირებს საპროცენტო ხარჯებს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა მარაგებისა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი

ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

23. მნიშვნელოვანი საღარიბო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მიწოდებული პროდუქტის თვითღირებულების ჩამოწერა ხარჯებში აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სავაჭრო ფასდათმობები და გადასახადები რომლებსაც ჯგუფი საგადასახადო ორგანოსგან იბრუნებს არ ჩაირთვება შემენის დანახარჯებში.

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს: პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ცვეთის ანარჩებებს, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციის ხარჯებს, და, საერთოდ, ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან.

ჯგუფი ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ჯგუფი მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაბეგვრა

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდებისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, ჯგუფმა გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ. შედეგად ჯგუფი წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

თანამშრომელთა სარგებელი

დასაქმებულთა ანაზღაურების მოკლევადიანი ვალდებულება იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება,

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ ინფორმაცია მათ შესახებ განმარტებულია, როცა მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში. თუ ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა მოხდება, მაშინ აქტივები და მასთან დაკავშირებული შემოსავლები აღიარდება კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში იმ პერიოდში. როდესაც მოხდა შეფასებების ცვლილება.

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია.

ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოიდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან: ა) ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი); ბ) კანონმდებლობა; ან გ) სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ორგანიზაციის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ორგანიზაცია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ორგანიზაცია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვადებულებებს.

შინაარსი

საქმიანობის მიმოხილვა	32
სუბიექტის განვითარების გეგმები.....	33
ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	34
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები.....	34
სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.....	34
ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	34
ძირითადი რისკები.....	38

საქმიანობის მიმოხილვა

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს “ალფა პეტი” დაარსდა 2007 წლის 27 სექტემბერს სომხეთის მოქალაქეების სამველ თუმანიანის, ლევონ მელიქსეტიანის და EBRD-ის (ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი) მიერ, თუმცა პროდუქციის წარმოება დაიწყო 2008 წლის ივნისში, რადგან ამ პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა იჯარით აღებული ფართის რემონტი და დანადგარების მონტაჟი.

2008 წლიდან დღემდე კომპანიის მფლობელები რამდენჯერმე შეიცვალა. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში წილებს ფლობენ:

1. 30%-სამველ თუმანიანი
2. 30%-ლევონ მელიქსეტიანი
3. 40%- დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება ჰაიტექს პლასტიკი

შპს “ალფა პეტი” თერთმეტი წლის განმავლობაში იჯარით აღებულ ფართს იყენებდა ქალაქ რუსთავში, თუმცა კომპანიამ შეიძინა მიწის ნაკვეთი სოფელ მისაქციელში (საკადასტრო კოდი 72.03.31.454). 2018 წელს დაიწყო ქარხნის მშენებლობა აღნიშნული მიწის ნაკვეთზე და 2019 წლის გაზაფხულიდან წარმოების პროცესი განაახლა მისაქციელში.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს პლასტიკური ბოთლების ნახევარფაბრიკატების – პეტის პრეფორმების წარმოება (სასაქონლო კოდი: 39233010100).

დღეის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია 5 ჰასკის მანქანა-დანადგარი (Husky Injection Molding System), რომელიც აწარმოებს სხვადასხვა ზომის პეტ პრეფორმებს-მაღალეფლიანს და დაბალეფლიანს. კომპანიას ასევე იმპორტით შემოაქვს რამდენიმე ზომის პრეფორმა სომხეთიდან.


კომპანიამ 2019 წლის დეკემბერში დააფუძნა შვილობილი კომპანია შპს ალფა პეტ პლიუსი ახალი საწარმოო ხაზის გახსნის, კერძოდ პლასტმასის კონტეინერებისა და სპეციფიური თავსახურების წარმოების მიზნით. შვილობილმა კომპანიამ 2020 წლის განმავლობაში შეიძინა ახალი საწარმოო დანადგარი და 2021 წლის თებერვალში გამოუშვა სატესტო პროდუქცია, ხოლო 2021 წლის მარტიდან სრულად გაეშვა წარმოება.

წარმოების პროცესი: პრეფორმის წარმოებისთვის გამოიყენება პოლიეთილენ ტერეფტალატი, ჯგუფს გააჩნია საკუთარი აირის ქრომატოგრაფი და აქვს შესაძლებლობა მყიდველი უზრუნველყოს ანალიზის სერთიფიკატი. ჯგუფი წარმოებისთვის იყენებს კლარიანტის ფირმის საღებავებს, რომელიც იტალიიდან შემოაქვს. პეტის გრანულები ალფა პეტ-ს იმპორტით შემოაქვს ჩინეთიდან, და ინდოეთიდან და კორეიდან.

შეფუთვა: პრეფორმები იფუთება პლასტმასისა და საკვებისთვის მისაღები ჰიგიენის დაცვით – მდგრადი ცელოფნით, რათა არ მოხდეს მისი დაბინძურება, რომლებიც ჩაფენილია 120X100X100 სმ ზომის მუყაოს ყუთებში, ყუთები ბოლოს იკვრება პლასტიკური ზოლტით; ხის პალეტების ზომაა 120X100სმ. საბოლოოდ ყუთებში განთავსებული პროდუქცია იფუთება პოლიეთილენის ფირით (სტრეიჯი). ჯგუფში დანერგილია შტრიხკოდების სისტემა, შესაბამისად ყველა ყუთზე განთავსებულია შტრიხკოდი, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას ჯგუფზე და წარმოებულ პროდუქტზე. შესაფუთ მასალებს-კარდონის ყუთებს ჯგუფი ყიდულობს თურქეთში.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

დისტიბუცია: ჯგუფს გააჩნია საკუთარი 3 სატვირთო ავტომანქანა, რითაც ანხორციელებს პროდუქციის დისტრიბუციას.



ჩვენი გუნდი

შპს „ალფა პეტში“ ამჟამად დასაქმებულია 60 ადამიანი. ჯგუფის საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანური რესურსი. „ალფა პეტი“ მუდმივად ზრუნავს თავისი თანამშრომლების განვითარებაზე, აქტიურად აფინანსებს თანამშრომელთა ტრეინინგების ხარჯებს. მათთვის შექმნილია ეფექტური სამუშაო გარემო, შრომის კოდექსით დადგენილი ყველა პირობა მკაცრად არის დაცული და არ ირღვევა არცეთი კანონის მუხლი. თანამშრომლებს შეუძლიათ ისარგებლონ როგორც კანონით დადგენილი შვებულების დღეებით, ასევე ანაზღაურებადი ბიულეტენით, საჭიროების შემთხვევაში. ჯგუფი ასევე ზრუნავს თანამშრომელთა ჯანმრთელობაზე და მათ უფინანსებს ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯს.

ჯგუფის ზედა რგოლში დაცულია გენდერული თანასწორობა, მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული არიან როგორც მამაკაცები, ასევე მანდილოსნები, ხოლო წარმოებაში დასაქმებულები არიან მხოლოდ მამაკაცები.

ჩვენ ვიზიარებთ და ვიღებთ პასუხისმგებლობას ჩვენი დასაქმებულის წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც ვითხოვთ კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, ჩვენ ვცდილობთ თანამშრომლებს შევეუქმნათ უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო.

პერიოდულად უკრაინიდან ჩამოდის შრომის უსაფრთხოების აუდიტი, რომელიც ამოწმებს თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები როგორც არის დაცული ჯგუფში, რამდენად უსაფრთხოა მათი სამუშაო გარემო.

ჯგუფის კუთვნის შენობაში განთავსებულია ხანძარსა და სანაღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრეინინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

სუბიექტის განვითარების გეგმები

ჯგუფის შვილობილმა კომპანიამ 2021 წლის მარტიდან წარმოებაში ჩაუშვა პლასტმასის კონტეინერები და სპეციფიური თავსახურები. ასევე ჯგუფმა დაისახა ახალი გეგმები, რომლის განხორციელებასაც აპირებს უახლოეს წლებში:

ინფრასტრუქტურული გეგმები:

- ✓ ახალი საწყობის მშენებლობა;
- ✓ ბოთლის გასაბერი დანადგარის შეძენა
- ✓ მზის პანელების დამონტაჟება ელექტროენერგიის ხარჯის შესამცირებლად

ალფა პეტ ჯგუფი

ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

სუბიექტის განვითარების გეგმები (გაგრძელება)

მარკეტინგული გეგმები:

- ✓ აზერბაიჯანის საზღვრისპირა კომპანიებზე გასვლა;
- ✓ საერთო გაყიდვებში ექსპორტის წილის გაზრდა.
- ✓ ადგილობრივ ბაზარზე წვრილი კლიენტების ბაზრის ათვისება

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

ჯგუფს, საქმიანობის სფეროდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, არ გააჩნია ფილიალები. შესაბამისად, ფილიალების საქმიანობის შესახებ კვლევა არ ჩატარებულა.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

ჯგუფში ადგილი არ ჰქონია კვლევით სამუშაოებს.

სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

საწარმო არ არის სააქციო საზოგადოება. მას არ აქვს გამოშვებული საკუთარი აქციები. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი არ არის რელევანტური ჯგუფისთვის.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

გაყიდვების ანალიზი

2019 წელს ჯგუფის პრეფორმების გაყიდვები კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. 2019 წლის გაყიდვები ჯამში 10%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. შემცირდა იმპორტირებული პროდუქციის გაყიდვები და გაიზარდა ადგილობრივად ნაწარმოები პროდუქციის გაყიდვები. მთლიანად 2019 წლის გაყიდვებმა 224 მილიონ პრეფორმას მიაღწია.

2020 წლის კოვიდით გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზის ჯგუფზე მნიშვნელოვნად არ უმოქმედია, ჯამში ჯგუფის რაოდენობრივი გაყიდვები წინა წელთან შედარებით 18%-ით გაიზარდა, სულ შპს ალფა პეტ ჯგუფმა 264,7 მილიონი პრეფორმა გაყიდა.

	რაოდენობრივი გაყიდვები			ზრდის კოეფიციენტი	იმპ წილი %	ადგ. წილი%
	იმპორტირებული	ადგილობრივი	მთლიანად			
2019	39,586,996	184,347,596	223,934,592	10%	18%	82%
2020	54,971,180	209,762,656	264,733,836	18%	21%	79%

კოეფიციენტების ანალიზი

შემოსავლიანობის კოეფიციენტები

შემოსავლიანობის კოეფიციენტები არის ჯგუფის ფინანსური აქტივობის შემფასებელი, თუ რამდენად ეფექტური იყო მისი საოპერაციო საქმიანობა, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტები მით უკეთესია ჯგუფისთვის.

საერთო მოგების მარჟა - (საერთო მოგება / შემოსავალი)

საერთო მოგების კოეფიციენტი არის ჯგუფის ფინანსური საქმიანობის ერთ-ერთი შემფასებელი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენია ჯგუფის მარჟა. მაღალი ინდექსი მაჩვენებელია ჯგუფის კარგი საფასო პოლიტიკის. თუმცა ის ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე სრულ ინფორმაციას ვერ გვაწვდის.

	2020	2019
შემოსავალი	35,256,392	38,081,218
თვითღირებულება	(25,101,894)	(28,005,686)
საერთო მოგება	10,154,498	10,075,532
GPM	29%	26%

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის რაოდენობრივის გაყიდვები გაიზარდა, ჯგუფის შემოსავალი 2019 წლის შემდეგ თითქმის 7%-ით შემცირდა, რაც გამოწვეულია სარეალიზაციო ფასების კლებით თუმცა გაუმჯობესდა მოგების მარჟა წინა წელთან შედარებით.

2019 წელს ნედლეულის ფასი 870 აშშ დოლარიდან 1100 აშშ დოლარამდე მერყეობდა. ხოლო 2020 წელს 626 აშშ დოლარიდან 865 აშშ დოლარამდე. პროდუქციის თვითღირებულების 90%-ს შეადგენს პოლიეთილენ ტერეფტალატი, შესაბამისად ნედლეულის ფასების დაწევამ გამოიწვია თვითღირებულების შემცირება, ვინაიდან ნედლეულის ხარჯი შემცირდა უფრო მეტად ვიდრე პრეფორმის გასაყიდი ფასები შესაბამისად საერთო მოგების მარჟაც გაუმჯობესდა.

ალფა პეტ ჯგუფი

ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

საოპერაციო მოგების მარჟა - (საოპ. მოგება / შემოსავალი)

საოპერაციო მოგების მარჟა მკვეთრად გაუმჯობესდა 2019 წლის შემდეგ

	2020	2019
შემოსავალი	35,256,392	38,081,218
საოპერაციო მოგება	6,712,755	6,457,262
OPM	19%	17%

ჯგუფის საოპერაციო ხარჯები გაიზარდა მხოლოდ 2%-ით, თუმცა ამავდროულად გაიზარდა სხვა საოპერაციო შემოსავლებიც. გაზრდილი საოპერაციო ხარჯების ძირითადი ნაწილი მოდის თანამშრომელთა ანაზღაურებასა და ცვეთის ხარჯის ზრდაზე. ასევე საანგარიშგებო პერიოდში გაზრდილია საგადასახადო ხარჯი 2019 წელთან შედარებით, რაც გამოწვეულია 2020 წელში გამოცხადებულ დივიდენდთან დაკავშირებული საგადასახადო ხარჯით.

წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/შემოსავალი)

წმინდა მოგების კოეფიციენტი გვიჩვენებს ყველა ხარჯების გამოკლების შემდეგ გაყიდვებიდან რამდენი დარჩა ჯგუფს მოგება. მაღალი ინდიკატორი გვიჩვენებს რომ ჯგუფი არის მომგებიანი და მფლობელებიც დიდ მოგებას გამოიმუშავენ.

	2020	2019
შემოსავალი	35,256,392	38,081,218
წმინდა მოგება	2,784,867	4,495,861
NPM	8%	12%

ჯგუფის მოგების მარჟაზე მკვეთრად იმოქმედა უარყოფითმა საკურსო სხვაობამ, შესაბამისად სხვა მომგებიანობის მარჟების გაუმჯობესების მიუხედავად 2020 წელს წმინდა მოგების მარჟა წინა წელთან შედარებით შემცირდა და 8% შეადგინა

2019 წლის ბოლოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული აშშ დოლარის გაცვლითი კურსი შეადგენდა 2.8677, ხოლო 2020 წლის ბოლოს დაფიქსირდა 3.2766. ვინაიდან ჯგუფს აქვს აშშ დოლარში როგორც მომწოდებელთან ვალდებულებები, ასევე აშშ დოლარში გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები, შესაბამისად ლარის დეველვაციის შედეგად ჯგუფს დაუფიქსირდა დიდი საკურსო ზარალი. საკურსო ზარალი 2019 წელთან შედარებით გაიზარდა 123%-ით. 2019 წელს ის შეადგენდა 953,054 ლარს, ხოლო 2020 წელს - 2,126,083 ლარს.

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

ლიკვიდურობის კოეფიციენტები აფასებენ ჯგუფის შესაძლებლობას თუ როგორ შეუძლია გაუმკლავდეს მოკლევადიან ვალდებულებებს. ანუ რამდენად სწრაფად შეუძლია თავისი მიმდინარე აქტივები გადააქციოს ფულად თავისი მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად. რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი მით უფრო უკეთესია ჯგუფისთვის, რადგან ეს მეტყველებს იმაზე რომ ჯგუფს შეუძლია დროულად დაფაროს კრედიტორების მიმართ დავალიანებები.

	2020	2019
მიმდინარე აქტივები	14,789,314	14,116,927
მიმდინარე ვალდებულებები	19,234,996	12,949,290
მიმდ. კოეფიციენტი	0.8	1.1
	2020	2019
მიმდინარე აქტივები	14,789,314	14,116,927
მიმდინარე ვალდებულებები	19,234,996	12,949,290
მარაგები	5,412,776	3,095,540
სწრაფი კოეფიციენტი	0.5	0.9

ალფა პეტ ჯგუფი

ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

Current Ratio - მიმდინარე კოეფიციენტი - (მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები)

როგორც ცხრილიდან ჩანს მიმდინარე კოეფიციენტი მკვეთრად გაუარესებულია 2019 წლის შემდეგ. რისი მიზეზიც მეტწილად განპირობებულია გადასახდელი დივიდენდის ვალდებულების ზრდით.

Quick Ratio-სწრაფი კოეფიციენტი - (მიმდ.აქტივები-საქონელი)/მიმდ.ვალდებულებები

ისევე როგორც მიმდინარე კოეფიციენტი, სწრაფი კოეფიციენტიც მკვეთრად გაუარესებულია 2019 წლის შემდეგ, რაც ასევე გამოწვეულია 4 მილიონ ლარამდე არსებული გადასახდელი დივიდენდის ვალდებულებით და მიმდინარე სასესხო ვალდებულების ზრდით. თუმცა, მარაგების ნაშთი წინა წელთან შედარებით 75%-ით არის გაზრდილი. 2019 წელს მარაგების წილი მთლიან მიმდინარე აქტივებში შეადგენდა 22%-ს ხოლო 2020 წელს მისი წილი იყო 37%.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვალობის კოეფიციენტი

(შემოსავალი/(მარაგები+დებ.დავალ-სავაჭრო ვალდებულებები))

ცხრილიდან ჩანს რომ საბრუნავი კაპიტალის ბრუნვალობის კოეფიციენტი მაღალია, რაც ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი გაყიდვებიდან გამოიმუშავებს იმაზე მეტ ფულს, ვიდრე მას სჭირდება ამ გაყიდვების დასაფინანსებლად.

	2020	2019
შემოსავალი	35,256,392	38,081,218
მარაგები	5,412,776	3,095,540
დებიტორული დავალიანება	8,574,514	9,475,274
სავაჭრო დავალიანება	4,310,327	4,139,362
WCT	3.64	4.52

აღნიშნული კოეფიციენტით გვიჩვენებს, რომ 2019 წელს ჯგუფის ხელმძღვანელობა უფრო ეფექტურად განკარგავდა თავის მიმდინარე აქტივებს და ვალდებულებებს ვიდრე 2020 წელს. ამ კოეფიციენტის გაუარესების ძირითადი მიზეზია სავაჭრო ვალდებულების მცირედი და მარაგების მკვეთრი ზრდა. ასევე პანდემიის გავლენით შემცირებული საოპერაციო შემოსავლები.

2020 წელს სამუშაო კაპიტალი იყო უარყოფითი - 4 445 682 ლარი, რაც მეტწილად გამოწვეულია წლის ბოლოს დივიდენდის გამოცხადებით.

ეფექტურობის კოეფიციენტები

მარაგების ბრუნვალობა დღეებში (მარაგები/თვითღირებულება*365)

ეს არის ეფექტურობის კოეფიციენტი, რომელიც ზომავს საშუალოდ რამდენი დღე ჩერდება მარაგები ჯგუფში გაყიდვამდე. 2019 წლის შემდეგ DIO გაუარესებულია თითქმის 95%-ით. 2019 წლის მონაცემებით მარაგები ჯგუფის საწყობში საშუალოდ 40 დღე ჩერდებოდა, ხოლო 2020 წლის იგივე მონაცემი შეადგენს 79-ს.

	2020	2019
თვითღირებულება	25,101,894	28,005,686
მარაგები	5,412,776	3,095,540
DIO	79	40

ჯგუფის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდის გამო, შპს ალფა პეტმა 2021 წლისთვის თადარიგი დაიჭირა და გაზარდა მარაგების რაოდენობა, რათა გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება შეძლებოდა. აღნიშნული მაჩვენებლის გაუარესება გამოწვეულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემცირებული მარაგების რაოდენობით.

მოთხოვნების ბრუნვალობა დღეებში (სავაჭრო მოთხოვნები/გაყიდვები*365)

ეს არის მაჩვენებელი იმისა, თუ საშუალოდ რა ვადაში ხდება დებიტორული დავალიანების ამოღება.

	2020	2019
მოთხოვნები	8,574,514	9,475,274
შემოსავალი	35,256,392	38,081,218
DSO	89	91

DSO არის მაჩვენებელი საშუალოდ რამდენი დღე სჭირდება ჯგუფს შემოსავლების შესაგროვებლად გაყიდვების შემდეგ, ანუ გვიჩვენებს რამდენად ეფექტურად აგროვებს ჯგუფი გაყიდვებიდან კუთვნილ ფულს.

ალფა პეტ ჯგუფი

ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ცხრილიდან ჩანს, რომ 2019 და 2020 წლებში ეს კოეფიციენტები უმნიშვნელოთ, თუმცა მაინც გაუმჯობესებულია.

ვალდებულებების ბრუნვადაზღაურება დღეებში (სავაჭრო ვალდებულება/თვითღირებულება*365)

DPO-არის ეფექტურობის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენი დღე სჭირდება ჯგუფს მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად.

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	4310327	4139362
თვითღირებულება	25101894	28005686
DPO	63	54

მიუხედავად იმისა რომ DSO უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა და გაყიდვებიდან თანხების ამოსაღებად ჯგუფს საშუალოდ 89 დღე სჭირდება, DPO მხოლოდ მცირედით გაუარესდა, თუმცა სავაჭრო ვალდებულებების 78%-ს წარმოადგენს დამფუძნებელ კომპანიასთან წარმოშობილი სავაჭრო ვალდებულებები. 2020 წლის კოეფიციენტის მიხედვით ალფა პეტს სჭირდება საშუალოდ 63 დღე მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად.

რისკიანობის კოეფიციენტები

რისკიანობის კოეფიციენტები აფასებენ ჯგუფის ფინანსურ რისკიანობას, თუ რა რაოდენობის სესხს იყენებს ჯგუფი თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად, რა გავლენას ახდენს ის ჯგუფის კაპიტალურ სტრუქტურაზე და მფლობელთა შემოსავალზე.

შპს “ალფა პეტს” აქვს როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი სესხები. ყველა სესხი დეტალურად აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-12 შენიშვნაში.

Debt Ratio -ვალდებულებების კოეფიციენტი (მთლიანი ვალდებულებები/მთლიანი აქტივები)

	2020	2019
მთლიანი ვალდებულებები	28,871,695	17,344,590
მთლიანი აქტივები	32,618,409	24,748,296
Debt Ratio	89%	70%

ისევე როგორც აქტივები, ჯგუფის ვალდებულებებიც წინა წელთან შედარებით გაიზარდა. რაც განპირობებულია წლის ბოლოს დივიდენდის გამოცხადებით და ასევე სასესხო ვალდებულებების ზრდით. ჯგუფმა დაამატა ახალი საწარმოო ხაზი პროდუქციაზე მოთხოვნის გამო, შესაბამისად მოუწია აკრედიტივით სარგებლობა. შესაბამისად, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაუარესებულია 19 %ით.

Debt to Capital Ratio- სესხის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი

ეს კოეფიციენტი არის ჯგუფის ფინანსური რისკიანობის შემფასებელი, რომელიც გვიჩვენებს ჯგუფის ფინანსურ სტრუქტურას მისი საქმიანობა სესხებით ფინანსდება თუ კაპიტალით.

	2020	2019
მიმდინარე სესხები	10,625,560	8,552,394
გრძელვადიანი სესხები	8,104,215	3,603,436
კაპიტალი	3,746,714	7,403,706
Debt to Capital	83%	62%

აღნიშნული მაჩვენებლის გაუარესება, ისევე როგორც ვალდებულების კოეფიციენტისა, გამოწვეულია სასესხო და გადასახდელი დივიდენდის ვალდებულების ზრდით საანგარიშგებო პერიოდში.

Debt to Asset Ratio- სესხის აქტივებთან შეფარდების კოეფიციენტი (სესხები/მთლიანი აქტივები)

სესხების წილი მთლიან აქტივებში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე გაზარდილია 0.49-დან 0.57-მდე ზემოაღნიშნული გარემოებების გამო.

	2020	2019
მიმდინარე სესხები	10,625,560	8,552,394
გრძელვადიანი სესხები	8,104,215	3,603,436
მთლიანი აქტივები	32,618,409	24,748,296
Debt to Asset	0.57	0.49

ძირითადი რისკები

როგორც ყველა განვითარებად ქვეყნებს, ასევე საქართველოსაც, ახასიათებს ეკონომიკური, პოლიტიკური და საკანონმდებლო რისკები, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას ახასიათებს სწრაფი ცვლილებები და ზრდა. ასევე გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა შეიძლება მეტად უარყოფითი გავლენა იქონიოს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე ვიდრე განვითარებული ქვეყნებზე.

COVID 19-ის გავლენა ჯგუფის ფუნქციონირებაზე

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ COVID-19 თან დაკავშირებით გამოაცხადა პანდემია. 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა პრემიერ მინისტრის წარდგინებით საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესდა სხვადასხვა შეზღუდვა საჯარო და ბიზნეს სექტორებისთვის როგორცაა საზოგადოებაში თავშეყრისა და ეკონომიკური საქმიანობის უფლების შეზღუდვები. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა აღნიშნული ეკონომიკური ფაქტორების გავლენა ჯგუფის საქმიანობასთან მიმართებაში.

ჯგუფს პანდემიის გავრცელების პერიოდში არ შეუწყვეტია ფუნქციონირება, არ შექმნია არც მატერიალური, არც ადამიანური რესურსის დეფიციტი და წარმოების და რეალიზაციის პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდა მაშინაც კი, როდესაც ეპიდემიის გავრცელების საფრთხემ პიკს მიაღწია და სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვანი შეზღუდვები დაწესდა ეკონომიკურ საქმიანობასთან მიმართებაში.

აღსანიშნავია, რომ ჯგუფმა ეპიდემიის გავრცელების პერიოდში გაიარა შემოწმება სახელმწიფოს მხრიდან ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესრულებაზე. შემოწმების შედეგი ძალზედ პოზიტიური აღმოჩნდა და ჯგუფის სახელზე გაიცა დადებითი დასკვნა, რომ ყველა მოთხოვნა სრულად არის დაკმაყოფილებული. საწარმოს ეკონომიკური საქმიანობა არ შეუჩერებია პანდემიის პირობებში.

გაყიდვებთან დაკავშირებით, 2021 წლის იანვარ-ივლისის ამონაგები 2020 წლის იმავე პერიოდის მონაცემებთან შედარებით გაზრდილია 30%-ით. ჯგუფს არ შექმნია ლიკვიდობის პრობლემები და ყველა ვალდებულება დროულად იფარება.

ჯგუფის ხელმძღვანელობის აზრით, რადგან ჯგუფის ძირითადი მომხმარებლები არიან ისეთი კომპანიები, როგორცაა კოკა-კოლა, ბორჯომი, ეფესი, ნატახტარი, ზედახენი და სხვა ფინანსურად სტაბილური საწარმოები, რომელთა პროდუქციაზე მოთხოვნა პანდემიის პერიოდში პირიქით გაზრდილია, რისკი, რომ COVID 19-ის ეფექტი ჯგუფის მიმდინარე ოპერაციებზე და მომავალ საოპერაციო საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება, შეიძლება შეფასდეს როგორც ძალიან დაბალი.

გაცვლითი კურსის რისკი

ვინაიდან "ალფა პეტის" საქმიანობა დაკავშირებულია იმპორტ-ექსპორტთან, შესაბამისად ჯგუფის საქმიანობაც დაკავშირებულია უცხოურ ვალუტასთან

ალფა პეტ-ს გააჩნია ორივე ტიპის რისკი: წარმოებასთან დაკავშირებული (Project Risk) და ასევე ფინანსებთან დაკავშირებული (Financial Risk).

პროექტის რისკი წარმოიშვება, მაშინ როდესაც ნედლეულიც და გამოშვებული პროდუქციაც დაკავშირებულია გაცვლით კურსთან. მიუხედავად იმისა რომ ალფა პეტი პროდუქციის უმეტესობას ყიდის ადგილობრივ ბაზარზე, ასევე პროდუქციის ნაწილი გააქვს ექსპორტზე სომხეთში, შესაბამისად გვაქვს დებიტორული დავალიანებაც უცხოურ ვალუტაში. ასევე, ვინაიდან ნედლეული შემოდის იმპორტით და მისი ფასი დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად კურსის ცვლილების გამო ლარში მისი ფასი იცვლება და რადგან პროდუქციის თვითღირებულების დაახლოებით 90% -ს შეადგენს ნედლეული, შესაბამისად ნედლეულის ფასის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პრეფორმის თვითღირებულებაზე.

ვინაიდან "ალფა პეტს" აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად ფინანსებთან დაკავშირებული რისკიც ჯგუფისთვის უცხო არ არის. ალფა პეტი სარგებლობს სომხეთის ეიქ ეს ბი ბანკის საკრედიტო მომსახურებით, რადგან სესხის საპროცენტო განაკვეთი არის დაბალი ვიდრე ადგილობრივ ბაზარზე.

ალფა პეტ ჯგუფი

ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

სხვა რისკები

საკრედიტო, საბაზრო, საპროცენტო და ლიკვიდობის რისკები დეტალურად აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მეოთხე შენიშვნაში.

ამ სექციაში განხილულის გარდა სხვა სტრატეგიული, კომერციული და ოპერაციული რისკები არ არის გამოკვლეული.

მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები:

მამუკა ჩალაძე

გენერალური დირექტორი

ნანა ავალიანი

ფინანსური დირექტორი

ალფა პეტ ჯგუფი

ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

სხვა რისკები

საკრედიტო, საბაზრო, საპროცენტო და ლიკვიდობის რისკები დეტალურად აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მეოთხე შენიშვნაში.

ამ სექციაში განხილულის გარდა სხვა სტრატეგიული, კომერციული და ოპერაციული რისკები არ არის გამოკვლეული.

მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები:


მამუკა ჩალაძე
გენერალური დირექტორი


ნანა ავალიანი
ფინანსური დირექტორი